**სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა
და განათლების ცენტრი**

მარშალ გელოვანის გამზირი №32გ
0159 თბილისი, საქართველო
+995 32 2 11 20 23
info@eiec.gov.ge
eiec.gov.ge

10 იანვარი 2024

N 01/1/11

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიას

ასლი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

**ი/მ „თემურ ხომასურიძეს" დირექტორს
ბატონ თემურ ხომასურიძეს
მის: ქ. ზესტაფონი, ს. ზაქარიაძის ქ. N27
ელ.ფოსტა:Temurixomasuridze1967@gmail.com**

გაცნობებთ, რომ 2023 წლის 29 დეკემბერს **ი/მ „თემურ ხომასურიძის"** მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენილია **შესაფუთი მეორადი მასალის გადამამუშავებელი საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადება, ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში და საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედების შერბილების ღონისძიებების გეგმა-გრაფიკი.**

მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის თაობაზე ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე - www.ei.gov.ge. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://ei.gov.ge/ka/info/1572f6bd-5551-4fc2-b851-3489f1eeda4d

დამატებით გაცნობებთ, რომ **აღნიშნული პროექტის მიმდინარე საქმიანობის ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება 2024 წლის 19 თებერვალს, 13:00 საათზე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში (მის: ა. წერეთლის ქ. №11).** ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე - www.ei.gov.ge.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული მიმდინარე საქმიანობის ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება, როგორც **ზესტაფონის მუნიციპალიტეტის** მერიის საინფორმაციო დაფაზე, ოფიციალურ ვებ-გვერდსა და Facebook-ის გვერდზე, აგრეთვე საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე (მაგ: ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი) და განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გამოგზავნა ფოტომასალის სახით.

მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები წარდგენილ იქნა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში **2024 წლის 9 თებერვლის** ჩათვლით, მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N34, ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge

დანართი:

- საჯარო განხილვის შესახებ განცხადება - 2 გვერდი

- პროექტის დოკუმენტაცია - 6 ფაილი

პატივისცემით,

თამარ ალადაშვილი

ცენტრის დირექტორი

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი